



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 22-28 ოქტომბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეთორმეტე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო;
- საგრძნობლად მოიმატა ადგილობრივი თვითმმართველობის, მთავრობისა და პარლამენტის გაშუქებამ;
- მოვლენები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება, თუმცა წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო განსხვავებული პოზიციების ჩვენებას;
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად აღარ შუქდება. თუმცა მათთვის დათმობილი დროც შემცირებულია;
- რეგიონული მაუწყებლების დიდი ნაწილი უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობს პოლიტიკური საკითხების გაშუქებას და აქცენტს რეგიონის სოციალური, კულტურული თუ სპორტული სიახლეების და პრობლემების გაშუქებაზე აკეთებს;
- ტელეკომპანიების აბოლუტურ უმრავლესობაში ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელია.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 22-28 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგ ზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ვერისი" (ქ. სენაკი).

22-28 ოქტომბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგებების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - ტელეკომპანიამ დაახლოებით 6 წუთი დაუთმო აჭარის მთავრობას, 5 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 4 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ.



სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ. თუმცა ნეიტრალური და ნეგატიური ბევრად სჭარბობდა პოზიტიურს. თუმცა აჭარის მთავრობის გაშუქებისას გამოვლინდა მხოლოდ პოზიტიური (15%) და ნეიტრალური (85%) ტონები. ყველაზე მეტად ნეგატიურ ტონში (67%) ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობდნენ.




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ, თუმცა თავად სუბიექტებსაც ეთმობოდათ დრო:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ძირითადად ადგილობრივი ამბები გააშუქა. სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო აჭარის ახალი მთავრობის კადრების შერჩევას და დამტკიცებას დაეთმო. მოვლენების გაშუქებისას არ შეიმჩნეოდა ჟურნალისტების მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკოსის მიმართ, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა აზრის დაფიქსირების საშუალება.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 55 წუთი მთავრობას დაეთმო. გაშუქების 39 წუთი ჰქონდა პარლამენტს, 22 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი დაფიქსირდა. თუმცა ნეიტრალური ბევრად სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს. პოზიტიურ ტონში გაშუქება ყველაზე მეტი ჰქონდა მთავრობას (21%), ხოლო ნეგატიურ ტონში - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (30%).




სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტებსაც ეთმობოდათ დრო. მხოლოდ პრეზიდენტის შემთხვევაში (გაშუქების 2 წუთი) გვექონდა 100%-იანი ირიბი საუბარი.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „რიონი“ აქტიურად აშუქებდა ახალი მოწვევის პარლამენტის სხდომებს და მთავრობის ფორმირების საკითხებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტების პირდაპირ და ირიბ გაშუქებას თითქმის თანაბარი დრო ეთმობოდა. ჟურნალისტის ტექსტი კი ნეიტრალური და დაბალანსებული იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კორესპონდენტი ან საინფორმაციო

გამომგების წამყვანი წყაროს ციტირებას ახდენდა. მაგალითად, „ყველა დანაპირები რაც ხალხს მივეცით ასრულდება“ - კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის განცხადება. უნდა აღინიშნოს, რომ 24 ოქტომბრის გამომგებაში ადგილი ჰქონდა უზუსტობას. კერძოდ, წამყვანმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობის წარმომადგენლები როგორც უმრავლესობა ისე მოიხსენია: "შეხვედრას უმრავლესობის წევრებიც აფასებენ და განმარტავენ, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ჩამოყალიბებული გეგმა არ გააჩნია." ამ განცხადებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების კომენტარები მოჰყვა.

ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - არხის საინფორმაციო გამომგებებში დაახლოებით 7 წუთის მანძილზე მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა გაშუქდა. მონიტორინგის კიდევ სხვა ორ სუბიექტს (მთავრობა, პრეზიდენტი) წუთზე ნაკლები დრო დაეთმო. სხვა სუბიექტებზე საუბარი კი საერთოდ არ ყოფილა.




ადგილობრივ თვითმმართველობაზე თითქმის თანაბრად საუბრობდნენ პოზიტიურ (45%) და ნეიტრალურ (55%) ტონებში. ხოლო პირდაპირი გაშუქება (81%) ბევრად სჭარბობდა ირიბ საუბარს (19%).


22-28 ოქტომბრის მანძილზე ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია ძირითადად ადგილობრივ სიახლეებს აშუქებდა. დიდი დრო დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული საკმეიანობების (შიდა კვარტალური ეზოების მოწესრიგება, პარკების მშენებლობა და ა.შ), ასევე რეგიონში ჩატარებული კულტურულ-გასართობი ღონისძიებების გაშუქებას.

"ოდში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - არხმა 11 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო, დაახლოებით 2-2 - კაოლიცია "ქართულ ოცნებას" და მთავრობას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაუშუქებიათ.



სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას დაფიქსირდა პოზიტიური ტონიც (12%).




სუბიექტების გაშუქებისას გამოვლინდა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი საუბარი. ირიბი საუბარი ყველაზე მეტი (87%) მთავრობის შემთხვევაში გვქონდა.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას 4-ჯერ მეტი დრო დაუთმო, ვიდრე მომდევნო სუბიექტ კვალიცა „ქართულ ოცნებას“. მთლიანობაში, ტელეკომპანია სუბიექტების მცირე ნაწილს აშუქებდა, თუმცა - ყოველთვის მიუკერძოებლად. საანგარიშო კვირის მანძილზე ჟურნალისტს სუბიექტური

შეფასებები არ გაუკეთებია და არც დაუბალანსებელი სიუჟეტების შემთხვევები დაფიქსირებულა.


"თანამგზავი" (თელავი) - საინფორმაციო გამოშვებებში 19 წუთი დაეთმო მთავრობას, 10-10 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას და პარლამენტს. ხოლო 5 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური და ზოგ შემთხვევებში (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კვალიცია "ქართული ოცნება") ნეგატიური სჭარბობდა პოზიტიურს:




სუბიექტების გაშუქების პირდაპირი - ირიბი საუბრის მაჩვენებლები უმეტეს შემთხვევებში თითქმის თანაბრი იყო. მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (დათმობილი დრო: 5 წუთი) და კოალიცია "ქართული ოცნების" (დათმობილი დრო: 1,46 წუთი) გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს.




საანგარიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანია " თანამგზავრი " ყოველდღიურად აშუქებდა ზოგადად ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ახალი მოწვევის პარლამენტის სხდომების და მთავრობის ფორმირების გაშუქებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად მოიმატა ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების

მაჩვენებელმაც. სიუჟეტები დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტი კი - მიუკერძოებელი და ნეიტრალური.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში 14 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, 5 წუთი - კვალიცია "ქართულ ოცნებას", 2 წუთი - მთავრობას. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი თითქმის არ ყოფილა - წუთზე ოდნავ მეტი დაეთმო ხელისუფლებას და პრეზიდენტს და წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებზე უმეტესად ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში საუბრობდნენ. პოზიტიურად გაშუქება მხოლოდ კვალიცია "ქართული ოცნების" (13%) და მთავრობის (18%) მიმართ დაფიქსირდა.




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ:



საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. დიდი დრო დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას, მომზადდა კრიტიკული სიუჟეტებიც. მაგალითად: „სოფელ მეჯვრისხევის ინფრასტრუქტურული პრობლემები და ადგილობრივთა პრეტენზიები“, "სოფელ ბარნაბიანთკარში ხიდის

შეკეთებაზე დახარჯული თანხა" და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ცდილობდნენ თანაბრად გაეშუქებინა ყველა მხარე.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - არხმა დაახლოებით 4 წუთი დაუთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, 2 წუთი - პარლამენტს. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა.



ორივე გაშუქებულ სუბიექტზე ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობა - 59%, პარლამენტი - 61%. პარლამენტის შემთხვევაში დათმობილი დროის ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე მოდიოდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო.

ტელეკომპანია „გურია“ მონიტორინგის სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილი გაშუქა. სუბიექტებისთვის საერთო ჯამში დათმობილი დრო 10 წუთს არ აღემატებოდა. ამიტომ, თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიამ მონიტორინგის მხოლოდ ორი სუბიექტს დაუთმო დრო: ადგილობრივ თვითმმართველობას (3 წთ.) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (2 წთ.).




სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურად და პოზიტიურად საუბრობდნენ. თუმცა ნეიტრალური ტონი გაცილებით მეტი იყო: ადგილობრივი თვითმმართველობა - 86% და კოალიცია "ქართული ოცნება" - 73%.

ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში პირდაპირი გაშუქება სჭარბობდა (71%), ხოლო კოალიციის შემთხვევაში - ირიბი (64%) გაშუქება.


კვლევის ამ მონაცემებზე დაყრდნობით რთულია თვისებრივი ანალიზის გაკეთება.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში არხმა დაახლოებით 15 წუთი მთავრობას დაუთმო, ადგილობრივ თვითმმართველობას - 8 წუთი, პარლამენტს - 6 წუთი, და 2 წუთი


ხელისუფლებას.



სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ:



სუბიექტების პირდაპირი გაშუქება ბევრად მეტი იყო ირიბზე. მხოლოდ ხელისუფლების შემთხვევაში გვქონდა 100%-იანი ირიბი საუბარი.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „იმერვიზია“ ჭიათურელი მდაროელების გაფიცვას აშუქებდა. მომზადდა სპეციალური გამოშვებები, სადაც 25 წუთიან სიუჟეტებში მდაროელთა პროტესტზე იყო საუბარი. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების მცირე ნაწილიც გაშუქდა, თუმცა თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ დაგროვდა.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში დაახლოებით 6 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას და წუთზე ნაკლები ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.


ტელეკომპანია რეგიონში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა. სიუჟეტები ძირითადად კულტურულ, სპორტულ ან სოციალური პრობლემების თემაზე მომზადდა. ერთადერთი სუბიექტი, რომელიც წუთზე მეტი დროით გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობაა: საკრებულოს სხდომის შესახებ დაბალანსებული და მიუკერძოებელი სიუჟეტი მომზადდა.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ სამი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, მათში მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა. 22-28 ოქტომბრის მანძილზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა კომპანია „ბორჯომის“ თანამშრომლების გაფიცვა გახლდათ. ასევე დიდი დრო დაეთმო ტელეკომპანია „ბორჯომში“ ამერიკის ელჩის სტუმრობას.

"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - არხმა დაახლოებით 2-2 წუთი დაუთმო არჩევნების დამკვირვებლებს და კოალიცია "ქართულ ოცნებას". 2 წუთზე ცოტა ნაკლები დრო (1,8 წთ.) დაეთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. სხვა სუბიექტებისთვის გამოყოფილი დრო წუთზე ბევრად ნაკლები იყო.




სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში საუბრობდნენ:




კოალიცია "ქართული ოცნების" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქების ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე მოდის. ხოლო არჩევნების დამკვირვებლების შემთხვევაში 84% პირდაპირი გაშუქება იყო.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილი გააშუქა. სუბიექტებისთვის საერთო ჯამში დათმობილი დრო 10 წუთს არ აღემატება. ამიტომაც, თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 19 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 8 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 6 წუთი - მთავრობას, 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - პრეზიდენტს.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა ნეიტრალური ბევრად სჭარბობდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების მაღალი, 45%-იანი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა. ხოლო პოზიტიური ტონის, ასევე 45 %, - მთავრობას.



ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას მათზე ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. მთავრობის შემთხვევაში გაშუქების ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე მოდიოდა. სხვა შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარიყო.




საანგარიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანია გურჯაანი აშუქებდა, როგორც ქვეყანაში, ასევე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სიუჟეტები უმეტესად


დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტი კი - მიუკერძოებელი. ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტური შეფასების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

აღსანიშნავია, რომ ნეგატიურ ტონში მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ და ახლად დამტკიცებული სახელმწიფო უწყებები არ გაშუქდნენ.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 3 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას. სუბიექტის გაშუქების ტონი ნეიტრალური იყო, ხოლო 62% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. არხს მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებია. ეს შედეგები თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.




"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში 23 წუთი დაეთმო პარლამენტს, 22 წუთი - მთავრობას, 19 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ასევე გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობა (10 წთ.) და კოალიცია "ქართული ოცნება" (9 წთ.).



სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური გაშუქება სჭარბობდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა კვალიცა "ქართულ ოცნებას" (56%), ხოლო ნეიტრალურ ტონში გაშუქების - მთავრობას (35%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (30%).




სუბიექტების გაშუქებისას დაფიქსირდა როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი საუბარი. პირდაპირი საუბარი ყველაზე მეტი იყო პარლამენტის (84%) გაშუქებისას, ხოლო ირიბი - კვალიცა "ქართული ოცნების" (75%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (71%).



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ყველაზე დიდი დრო ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობის გაშუქებას დაუთმო. ყველა საინფორმაციო გამოშვება პარლამენტში მიმდინარე მოვლენების (სხდომა, დებატები, მთავრობის დამტკიცება) ჩვენებით იწყებოდა. სიუჟეტები ძირითადად ინფორმაციული ხასიათის იყო და კომენტარების გარეშე ასახავდა მოვლენებს. ხოლო ჟურნალისტების ტექსტი კი მიუკერძოებელი და ნეიტრალური.


"ზარი" (სამტრედია) - საინფორმაციო გამოშვებებში 9 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, 1,46 წუთი - პრეზიდენტს.



ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა: პოზიტიური (36%), ნეიტრალური (52%), ნეგატიური (13%). ხოლო პირდაპირი (54%) და ირიბი (46%) გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

სიუჟეტებში იგრძნობა ჟურნალისტის მიკერძოებულად პოზიტიური დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის, განსაკუთრებით კი ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის, ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ავთანდილ სტურუას მიმართ.

„მე-9 ტალღა“ (ფოთი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში 4 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი თითქმის არ ყოფილა.



ორივე სუბიექტზე ნეიტრალურად საუბრობდნენ, ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას პოზიტიური ტონიც (4%) გამოვლინდა. სუბიექტებზე არაპირდაპირი საუბარი პირდაპირ გაშუქებაზე ბევრად მეტი იყო: ადგილობრივი თვითმმართველობა - 64%, კოალიცია "ქართული ოცნება" - 89%.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენები და სოციალური თემები შუქდებოდა. მნიშვნელოვანი დრო პროფკავშირების მიერ ორგანიზებული საპროტესტო გამოსვლების (პროტესტს გამოხატავდნენ დამსაქმებელი კომპანიის მიმართ სახელფასო პირობების დარღვევისა და შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობას გამო) გაშუქებას დაეთმო.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

29 ოქტომბერი - 4 ნოემბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეცამეტე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.